საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030151785262420

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/5848 **02 / ივნისი / 2020 წ.**

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ დიმიტრი ხუნდაძეს

ასლი: საპარლამენტო ფრაქცია „დამოუკიდებელი
დეპუტატების“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს
ბატონ ლევან კობერიძეს

ბატონო დიმიტრი,

უპირველეს ყოვლისა, მინდა გამოვხატო მადლიერება პირადად თქვენი და საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ყველა წევრის მიმართ, ვინც აქტიური და ქმედითი დახმარება გაუწია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კოვიდ 19-ის ეპიდემიაზე საპასუხოდ ჯანდაცვის სექტორის მომზადების პროცესში. პირადად მე და სამინისტროს მთელი გუნდი უაღრესად ვაფასებთ კომიტეტის ინტერესს და ჩართულობას ჯანდაცვის სექტორის ეპიდემიაზე მზაობის გაუმჯობესების კუთხით.

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის“ მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, არსებული და შემხვედრი გარემოებების გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომის გადადების თაობაზე და გთხოვთ, საკომიტეტო მოსმენისთვის საორიენტაციო პერიოდად განიხილოთ ამა წლის ივნისის თვის ბოლო კვირა. ამავდროულად, დამატებით, გიგზავნით მოკლე ინფორმაციას თქვენს მიერ დასახელებულ საკითხებთან დაკავშირებით:

- როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 25 მაისს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავდა იმ ეპიდემიოლოგიური ინსტრუმენტების და მაჩვენებლების დეტალურ მიმოხილვას, რასაც სამინისტრო პასუხის დაგეგმვისთვის იყენებს. სამინისტრო ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას კომიტეტს გააცნოს პროგნოზირების სხვა ინსტრუმენტები, გარდა იმისა რაც უკვე იქნა გაზიარებული ანგარიშის ფარგლებში.
- აქვე მოგახსენებთ, რომ სამინისტრო სრულად იზიარებს საყოველთაო ხელმისაწვდომობის პროგრამის ფარგლებში ფასწარმოქმნის მექანიზმების დახვეწის აუცილებლობას და მზად არის განაახლოს ტარიფიკაციის პროცესზე მუშაობა პრიორიტეტული სერვისებისთვის. აღსანიშნავია, რომ კოვიდ 19-ის პანდემიის მიმდინარეობამ შეცვლა ჯანდაცვის მიმდინარე სერვისების (განსაკუთრებით გეგმიური სერვისები) მიწოდების ხასიათი. ამ პირობებში, გეგმიურ ჩარევებზე შემცირებული მოთხოვნის და გლობალურად სამედიცინო მარაგების მოწოდების პროცესის სირთულეების გათვალისწინებით, 2019 წლის 5 ნოემბრის N520 დადგენილების შუალედური შედეგების შეფასება ვალიდურად ვერ ჩაითვლება. საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, ჰოსპიტალური სერვისების ტარიფების დადგენის სამუშაო პროცესი განახლდა მაისის ბოლოს და მიმდინარე თვე დაეთმობა 520 დადგენილების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით დამატებითი მექანიზმების სრულად ამოქმედებას. კერძოდ, კარდიოქირურგიის პროგრამის ფარგლებში კარდიო ვერტე დეფიბრილატორების მოწოდების მიზნით, სამინისტრო გამოიყენებს ცენტრალიზებული შესყიდვის მექანიზმს. ბაზრის კვლევა მიმდინარეობს და შესყიდვები დასრულდება დადგენილ ვადებში.
- რაც შეეხება სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტოში სოციალური მუშაკების გათავისუფლების საფუძვლებს, მოგახსენებთ, სახელმწიფო ზრუნვის სისტემა, სადაც ინტეგრირებულია ბავშვთა კეთილდღეობის, ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერის საკითხები, საჭიროებდა ახლებური ტიპის ინსტიტუციურ მოწყობას, მით უფრო, რომ მანამდე არსებული მოწყობით ბენეფიციართა ზრუნვის მიმართულებით ხარისხიანი სერვისების მიწოდებაში არაერთი პრობლემა, უფლებადარღვევა და ხარვეზი იკვეთებოდა. გარდა ამისა, „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ და „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით არაერთი ვალდებულებაა გათვალისწინებული, რაც ბენეფიციარებზე ორიენტირებული სისტემის შექმნას მოითხოვს. შესაბამისად,

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შექმნილიყო სახელმწიფო ზრუნვის ორგანო, რომელიც გააერთიანებდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფუნქციებს, ორიენტირებული იქნებოდა სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების მქონე ბენეფიციარებისთვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე და სახელმწიფო ზრუნვის ხარისხის ამაღლებაზე. მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის თანახმადაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან რეორგანიზაციის ფარგლებში სახელმწიფო მეურვეობა-მზრუნველობის ფუნქცია გადაეცა და სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს და ჩამოყალიბდა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. ამასთან, ახლად შექმნილ სააგენტოს მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სოციალური მომსახურების სააგენტოში შტატით დასაქმებულ თანამშრომელთა და შტატგარეშე მომუშავეთა უკონკურსოდ შესაბამის თანამდებობებზე გადაყვანის უფლებამოსილება. რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით, შეიქმნა კომისია (ქვეკომისიები), რომელსაც დაევალა როგორც პროცესის კოორდინაცია ასევე, გადაუდებლად საჭირო საკადრო რესურსის შერჩევა.

- მეურვეობა - მზრუნველობის ფუნქციის შეუფერხებელი განხორციელების მნიშვნელობის გათვალისწინებით, პირველად ამოცანად განისაზღვრა სწორედ იმ სასიცოცხლოდ აუცილებელი ადამიანური რესურსის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფდა ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ახალი ფუნქციის შესასრულებლად გადაუდებელი საჭიროების დაკმაყოფილებას და არსებული სერვისების უწყვეტობას. ამდენად, კომისიის ფორმატი, კოლეგიალობის, გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით, გამოყენებულ იქნა როგორც ინსტრუმენტი, შესაბამის სოციალურ მუშაკებზე რეკომენდაციების გასაწევად.
- აქედან გამომდინარე, განხორციელებული ღონისძიებები ემსახურებოდა სისტემის გაჯანსაღებას. ქმედითი ღონისძიებები გრძელდება უკვე ახალი ადმინისტრაციული ორგანოს ფარგლებში. სოციალურ სამუშაოს ადეკვატური და ხარისხიანი მიწოდების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, კადრების შერჩევის/დაკომპლექტების მიზნით, გამოცხადდა საჯარო კონკურსი, რომლის შესარჩევი კომისიის წევრები ასევე იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის კათედრის და სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენლები. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა ყველა დაინტერესებულ პირს თანაბარი და ხელმისაწვდომი პრინციპების დაცვით. ამ ეტაპისთვის შერჩევის პროცესი დასრულებულია და უახლოეს პერიოდში მოხდება შერჩეული კადრების დანიშვნა.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე